

# მ წ უ ე მ ს ი


უ მ ა ლ ლ ე ს ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ზ ა ნ კ ა რ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი .

**მოწერილ ოგა თხოვნის სასულიერო სემინარიის სამმართველო საბჭოსთვის შუამდგომლობა „მწყემს“-ს რედაქციის დაბეჭდვის შესახებ, 10 ოკტომბრიდან 1886 წლის, № 3627: 1) რიგის (разрядный) სიები თბილისის სასულიერო სემინარიის მოწადეთა, შედგენილი ექვამენების გათავების შემდეგ 1885/6 სასწავლო წლისა, დამტკიცებულა; 2) ნება ეძლევა სემინარიის სამმართველოს სემინარიიდან გამორიცხული მოწაფენი:**

ა) IV კლასისა ალექსანდრე მატაფიევი, III კლასისა მათე ბორდუჩიანი და ალექსი თებუაძე, II კლასისა იოსებ ჩიჯაძე და I კლასისა ნიკოლოზ ბარნაბოვი, იაკიმ ბორჯაძე და ბრიგორი ბენიგვი მღვდელთაგან უკანვე სემინარიის იმავე კლასებში; ბ) მოწაფეებს: IV კლასისა: სპირიდონ შირსალოძეს და სტეფანე ანდრიანოვს, III კლასისა: ლავროს ბასილაშვილს და ალექსანდრე მალაძეს, II კლასისა: ალექსანდრე მალაძეს, ალექსანდრე ბარამიძეს, ბრიგორი ოქროპირიძეს და ბიორგი თუთბერიძეს და I კლასისა: ნესტორ შორდანიას ნება ეძლევათ შევიდნენ სხვა სემინარიის შესაფუძნებელ კლასებში, გარდა თბილისისა, და გ) მოწაფენი IV კლასისა თეოდორე ბეორგობიანი და II კლასისა ალექსანდრე თეოდორე და თხოვნით იქმნენ სემინარიიდან თხოვნებით და ყოფაქცევაში მიეცესთ ნიშანი (знакъ) 4. ხოლო თხოვნები სემინარიიდან გამორიცხულ მოწაფეთა: IV კლასისა ნიკოლოზ ხახუტაძისა, III კლასისა ნიკოლოზ ბრძელიაშვილისა, ლავროს ბიურაძისა, ბიორგი მატაფიევის, II კლასისა: მასილი ბაგრატიონ-ლავროვისა, ხარიტონ მასრაძისა, ნიკოლოზ ლოლაძისა, ნიკოლოზ მჭედლოვისა, იოსებ უხოველოვისა, როსტომ ჩიკვაძისა და I კლასის იოსებ ბარბაკაძისა, მიხეილ ლუკიანოვისა და ალექსანდრე

ტინე მჭედლოვისა, რათა ისინი უკანვე მღვდელთაგან იქმნენ სემინარიისაში, ანუ მათ მომეტებულ ექნესთ ნიშნები ყოფაქცევაში, დაჩქეს უყურადღებოდ.“

რედაქციის სემინარიისა აქტივანობით უპასუხებდა



**მაღალ ყოვლად უსაგვდლომსო მუშაო, მოწყალეო ხელმწიფეო და მღვდელ-მთავარო!**

სირკულიარული წერილითა 5 ივლისიდან 1886 წ., № 3192, მისმა მაღალ აღმატებულებამ ბატონმა მღვდელ-პროკურორმა უწმიდესი სინოდისა აუწყა თქვენს უსამღვდელოესობას თხოვნა საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისა სასულიერო მთავრობათა დახმარებაზედ ერთად სამოქალაქო მთავრობასთან, დასაწვლელად განთა ძიებისა საეკლესიო მიწებში.

აწ გაგვადნიერდებით და შეგაწყენთ თავს თქვენ, ყოვლად უსამღვდელოესო მღვდლო, უმორჩილესი თხოვნითა, ახალს კეთილ-მნებლობითს თქვენს მხრით განკარგულებაზე დაცვისათვის სამშობლოის ძველთა ნაშთთა სრულად აღმოფხვრისაგან.

თითქმის მარად დღეს გლახები სთხრიან მინდვრებში ძველი დროის საგანთა, როგორც ფულთა და ძვირფასს ნივთთა, აგრეთვე რკინის, სპილენძის და ქვის იარაღთა, რომელთაც გლახების თვალში არავითარიმე მნიშვნელობა არა აქვსთ. როდესაც რომ ეს საგნები შეადგენენ არქეოლოგიისათვის ძვირფასს მასალას, ვინაიდან ისინი არიან ერთად ერთი წყარო, რომელთა მეშვეობით შეიძლება ცოტ-ცოტად აღდგინდეს ისტორია ჩვენი სამშობლოისა იმ დროებში, როდესაც ჯერ არ იყო არც წელთა აღწერანი, არც რომელიმე წერილობითი ნაშთი. რადგან გლახთ არ ესმისთ მნიშვნელობა ამა ნივთთა, ისინი თითქმის მუდამ ასაღებენ მანდელ საგნებს იაფ-ფასად გადასაღებლად, მხოლოდ ქვის იარაღთა სრულად ჰყრიან.

ვევლას ეს საჭიროებანი ითხოვენ დაუყოვნებელ შველას. დაუყოვნებლივი დაკმაყოფილება ამ ნაკლულევაანებათა გამოიწვევს ჰატივს ღ დიდებას რუსეთის სახელისადმი აღმოსავლეთში. საშუალება მართლ-მადიდებელ ჰალესტინის საზოგადოებას არა აქვს საკმაო.

ამისათვის რჩევა მართლ-მადიდებელის ჰალესტინის საზოგადოებისა, სრული დარწმუნებული რუსის გულ-კეთილობაში, მოიქცევა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთადმი უმორჩილესი თხოვნითა, რომ აღმოუჩინონ თავიანთი შეძწეობა აღნიშნულთა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

უწმიდესმა სინოდმა, რომელმანც დაწვლილებით იცის ეს საჭიროებანი წმიდა ადგილთა და რუსის ძლოცველთა, ნება დართო მართლ-მადიდებელი ჰალესტინის საზოგადოებას, რომ მოახდინოს შეკრება სასარგებლოდ ქრისტეს საფლავის ძლოცველთა წელიწადში ერთხელ ეოველ რუსეთის ეკლესიაში, ეოველი დვთის მსახურების გათავების შეძღვევ ერთ დღესასწაულში, ბზობას, დღით კვირას.

ნუ დაიპურნებთ, კეთილნი ერნო, თქვენს თანაგრძნობას და შეძწეობას ამა წმიდა საქმისათვის, რომელიც სულის საცხოვნებელიც არის, ვითარცა მოწვალებითი გაცემა და სასარგებლო რუსეთისათვის აღმოსავლეთში და კეთილ-მოძქმედ ვევლას ადგილობრივ მცხოვრებთათვის და ძლოცველთათვის ჰალესტინაში. რათა არა გამოვსცხადდეთ ჩვენ წმიდასა ქალაქსა შინა უფლისა მიმართ ხელ-ცუდათ. (მეორე სჯულისა 16—17). ნუ ვიევარებით სიტყვითა, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა, (იოან. თავი 3—18). ჭეშმარიტ ვიუვნეთ სიუვარულსა ზედა (ეფ. 4-15). კეთილითა საქმითა სათნო ვეკოფით დმერთსა. (ებრ. 13, 16).

რჩევა მართლ-მადიდებელისა ჰალესტინის საზოგადოებისა მოიქცევა განსაკუთრებით თხოვნით მართლ-მადიდებელ სრულიად რუსეთის სამღვდლოებისადმი, რომ მან აღმოუჩინოს თავისი მხრით მხურვალე მონაწილეობა საზოგადოების მიხანს და კეთილ-დროებითად შეატყობინოს თავიანთ სამწესოს და სულიერთა შვილთა ამა განზრახულ შეკრებილებასე, და მოამზადოს მათი გულნი, რათა შეეწიონ ჰალესტინის წმინდა ადგილთა და მცხოვრებთა და მეოფთა ჰალესტინაში მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა.





# მწყემსი

1883-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს ჯ ოც-და-ათ ზიცსკეში.

### გ ა ზ მ თ ი ს უ ა ს ი :

ერთი წლის გაგზავნით დაგუგზავნულად	5 მან.
ნახევარი წლის — — — — —	3 —
„მწყემსი“ რუსული დამატებით	6 —
ნახევარი წლით — — — — —	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით — — — — —	2 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ აღრესით: *Въ изда-н.м.и, Въ редакц.и „Мѣсьмесѣ“ (Пастыр.)*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავით, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილინი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატიია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილინიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

### სოფლის მღვდლის წერილი თავის მოძამეთადმი. \*)

რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენში დამკვიდრდეს ერთობა? ჩვენის აზრით საშუალებანი, რომელთაც ჩვენი ერთი ერთმანეთთან დახლოვება შეუძლია, ბევრია, რომ თვითონ ჩვენში იყოს სურვილი და მეცადინობა, რათა ეს საშუალებანი გამოვიყენოთ. შპირველეს საჭიროა, რომ ჩვენა გვქონდეს ჩვენი საკუთარი სასულიერო ჟურნალი ანუ გაზეთი, რომელიც გვაერთებდეს მართლ-მადიდებელი ეკლესიის ყველა მწყემსთა და მასთან გვიჩვენებდეს სწორს გზას, რომელზედაც უნდა ვილოდეთ, თუ გვინდა შევესრულოთ ჩვენი მოვალეობა მოციქულთა ჩვენებათა-მებრ. ჩვენის აზრით საკუთარი სასულიერო გაზეთის ანუ ჟურნალის ქონება ყველაზე უფრო საჭიროა. მანარჩენ საშუალებათ ჩვენ თვითონ გამოვინახავთ, თუ ჩვენში სურვილი და მონდობა იქნება. და რომ ჩვენთვის ნამდვილად საჭიროა საკუთარი სასულიერო ჟურნალის ანუ გაზეთის ქონება და რომ ამისთანა ჟურნალი ანუ გაზეთი ჩვენ ერთმანეთთან და-

ხლოვების საქმეში დიდ შემწეობას აღმოგვიჩენს, ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ შემდეგი მოსაზრებაებით.

სოფიერთი ჩვენი თანამოძმენი, მართალია, ისეთ ადგილებში მსახურებენ, სადაც შესაძლებელია ერთმანეთ შორის მისვლა-მოსვლა, სხვა-და-სხვა საერო ჟურნალ-გაზეთების შოვნა და კითხვა, მაგრამ ყველა მწყემსნი ასე ბედნიერნი არა ვართ. შპეტესი ნაწილი ჩვენი თანამოძმეებისა ისეთ მივარდნილს და მივიწყებულს სოფლებში მსახურებენ, სადაც არც კაცია, რომელსაც შეგეძლოს განუზიარო შენი აზრი და სურვილი და არც რაიმე გაზეთის შოვნა შეგიძლია და კიდევაც რომ იშოვნო რამე გაზეთი, რომელიც სასულიეროწოდებას არ შეეხება, რა გამოვინახავთ განვიხილოთ და ვერც ვერაფერს განვიმარტავს შენი უწმიდესი მოვალეობის შესახებ.

ამისთანა ადგილებში მოსამსახურე მწყემსთა ცხოვრებაში ხშირია ისეთი წამი, როდესაც მწყემსი ვერ ხედავს ერთ კაცს, თუმცა ხალხში კი სცხაოვრებს და მართლობა აწუხებს მას. ასეთ მდგომარეობაში ამ პირთა ერთად ერთი მანუგეშებელი და იმედი არის სარწმუნოება და ძრისტი; მათ ანუგეშებს მაცხოვრის სიტყვები, რო-

\*) იხ. „მწყემსი“-ს 27 №-ში.




მელიც მან უთხრა მოციქულებს: **ჟუკთჳმცა სოფლისა-განნი იყვნეთ, სოფელიცა თვისთა ევარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი საწოთ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიეთ თქვენ სოფლისაგან, ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა.** (იოან. 15, 19); ასეთ მდგომარეობაში მწყემსი იგონებს მოციქულთა და მათ მოადგილეთა ცხოვრებას და საქმეთა, რომელთაც ბევრი მწუხარება და წვალება გამოსცადეს ქვეყნიურ ცხოვრების დროს; ასეთ მდგომარეობაში მყოფი მწყემსი უყვირდება ეხლანდელს დროსაც და ეს დაკვირვება არწმუნებს მას, რომ ეხლა თუმცა მეცხრამეტე საუკუნეა, როცა განათლებამ დიდი ზედ მოქმედება იქონია ყველაფერზე, მაგრამ მოციქულის სიტყვებს: **ყოველთაჲ, რამელთა წინებავს ღმრთის-მისასურებით წსოვრებათ ქრისტეს იესოს მიერ, იღვენენ, ამ ჩვენ დროშიაც აქვს, სამწუხაროდ, ძალა.** მართლა, ძრისტესადმი ცხოველი სარწმუნოება ბევრსა შველის ასეთ მწუხარებაში მყოფ ჩვენ თანამოძმეს; და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი ცხოვრება, ცხოვრება და მოქმედება მხოლოდ ძრისტეზეა დამოკიდებული; მაგრამ ყოველივე ამასთან, ისიც უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი თანამოძმე, რაც უნდა მხნე იყოს იგი, მაინც კაცია; ამ მარტობაში ის ათასი მხნედ იყოს და თავის თავი შეიმადროს, მაინც თან-და-თან სუსტდება, ეკარგება მას იმედი და წარმოუდგენელს სასოწარკვეთილებაში ვარდება. ასეთ მდგომარეობაში ჩვენი საწყალი თანამოძმე, მოკლებული ყოველივე ღონეს, ეძიებს სულიერ მოსვენებას, მაგრამ ამასაც ვერსად პპობს. ასეთ უნუგემო მდგომარეობაში მყოფი მწყემსი ემზგავსება წინასწარმეტყველს ილიას, რომელიც იეზაბელისაგან დევნის დროს დაიძალა ქარივის მთაში. ილიას ჰქონდა მტკიცე სარწმუნოება ლეთისადმი და რა დაინახა, რომ ისრაილებმა დაუტყვეს ლეთის მცნება, დაანგრიეს სამსხვერპლონი და ამოწყვიტეს წინასწარმეტყველნი და მასთან როცა ისიც წარმოიდგინა, რომ მას მხოლოდ ერთსა სწამს ლმერთი, რისთვისაც მასაც სდენიან, შესთხოვა ლმერთს სიკვდილი. ილიას მზგავსად ჩვენი საუკეთესო თანამოძმე ასეთ უნუგემო მდგომარეობაში აყვედრის თავის თავს, რომ მასში სრულებით არ დაიხმო სიყვარული მისი მწყემსური მოვალეობისადმი, ხოლო სულით კი ის ილიაზე უფრო ძირს ეცემა და შეხარბის იმ თავის უღირს თანამოძმეების მდგომარეობას, რომელნიც არასუფრზე არა სწუხრან, მხოლოდ ფიქრობენ, რომ თავის მდგომარეობა ნივთიერის მხრით უზრუნველ

ჰკონ და, თუ ეს მოიპოვეს, კმაყოფილნი არიან და ბედნიერად სთვლიან თავის თავს და თავიანთ მოჯახობას; ის კი მოკლებულია ყოველივე ღონეს და იმედს, ფიქრობს, რომ მასზე არაფერ ზრუნავს და ისეთსავე მწუხარებას სცდის, როგორსაც სცდიდა წინასწარმეტყველი ილია. ასეთ მდგომარეობაში საბრალო ჩვენი თანამოძმე მეცადინობს, რომ დახმოს თავის თავში თავის წმიდა მოვალეობისადმი სიყვარული! ილიას, როცა ის უნუგემო მდგომარეობაში იყო, ლმერთი გამოეცხადა და აუწყა მას, რომ ისრაელთა შორის არის კიდევ შვიდი ათასი კაცი, რომელთაც ჯერ კიდევ არ უციათ თავიანი კერპთათვის. რა სასინარულო იქნებოდა ეს ამბავი ილიასათვის, რომელსაც მხოლოდ თავის თავი ეგონა ჰეშმარტი ლეთის-მოწმუნე! ილია გაამხნევა ამ ამბავმა და ისევე მხნედ და გაბედვით შეუდგა თავის მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას და აღსრულებდა მას, რასაც უფალი უბრძანებდა. ამის მზგავსად ჩვენ საკუთარს სასულიერო ყურნალ ან გაზეთს შეუძლია სანუგემო ამბები მიუტანოს სასოწარკვეთილებაში მყოფ ჩვენ თანამოძმეს და ახაროს მას, რომ მართო ის არ მოქმედებს ძრისტეს ყანაში, რომ მის გარდა არიან მრავალნი, რომელნიც ერთგულად მოქმედებენ თავიანთ ასპარეზზე და მხნედ უზვდებიან წინ ყოველივე მწუხარებას და დევნას. ბეჭედის საშუალებით შეგვიძლია ხმა მივსცეთ ერთი-ერთმანეთს ათასი რომ დაშორებულნი ვიყვნეთ ერთი-ერთმანეთისაგან და ეს, სხვაც რომ არა იყოს რა, ბევრსა ნიშნავს.

სამწუხაროდ ჩვენ სამღვდელეობაში არ არსებობს საზოგადო აზრი, რომლითაც საუკეთესო ჩვენ თანამოძმეთა ვაქებვდეთ და ვაქებდეთ, სუსტთა ვეწეოდეთ, გაუბედავთ ვამხნევებდეთ, ხოლო ამპარტავანთა და თავის მოყვარეთა ვამხილებდეთ, დაუღევართ, ზარმაცთ და თავის მოვალეობის არა მტკიცედ შემასრულებელთ ვარცხვენდეთ და ზოგ შემთხვევაში ასეთ პირთ კიდევ ვსდენიდეთ და არ ვმალავდეთ ზოგიერთა ჩვენი თანამოძმეების ბოროტ-მოქმედებათ, რომლითაც ისინი ჩარქსა სდებენ თავიანთ თანამოძმეთ და იმ წმინდა მოვალეობას, რომელიც ჩვენ გვიტვირთვით თავზე. ამ შემთხვევაში, უნდა გამოტყნილი ვსტყვათ, რომ ჩვენში რალაც არეულობა არის: რაც ნამღვლილ ქების და პატივის ცემის ღირსია, იმას ვაუგებთ და ვამცირებთ და რაც ღირსია განკიცხვისა, იმას კი ვაქებთ, ვადიდებთ და მის წინაშე მუხლს ვიდრეკთ-ამ შემთხვევაში დიდ შემწვიობას აღმოგვიჩინეს ჩინ

საკუთარი სასულიერო გაზეთი ანუ ყურნალი.

თითქმის ყოველს შტოს მეცნიერებისა და ცოდნისას და თვით რომელიმე მიმართულებასაც აქვს თავიანთი ბეჭედიანი ორგანი, რომელიც ერთის მხრით აერთებს დახელოვნებულ მკოდნეთა და თანამგობნობელთა რომელიმე მიმართულებისას, მით რომ აძლევს მათ საშუალებას განუზიარონ ერთმანეთს თავიანთი აზრები, ნაღვაწი, დაკვირვებანი, გამოგონებანი, ხოლო მეორეს მხრით აერთებს საზოგადოებაში დედა აზრთა და ცოდნათა; ჩვენ კი ეკლესიის წარმომადგენელი, — მწყემსნი და მოძღვარნი, რომელნიც ურთიერთ შორის დაკავშირების საქმეში ყველას წინ უნდა ვუძღოდეთ, ვდგევართ ცალ-ცალკე და თითო-თითოდ ერჩებით დამარცხებულინი.



აფხაზეთის ღრანდის განახლებული ძველი ტაძრის კურთხევა იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდლო ბაგრიელისაგან და მისი უკანასკნელი სიტყვა აფხაზეთის სამწყსოსადმი.

ღი დი ხანი არ არის, რაც უმძლესმა სასულიერო მთავრობამ საქაროდ დაინახა, რათა აფხაზეთში დამოუკიდებელი ეპარქია დაარსებულიყო. ამ ეპარქიაში მსახურებდნენ თავდაპირველად შემდეგი მწყემსთმთავრები: ბერმანე, ბერონტი და ალექსანდრე, დღეს შაროლის ეპარქი, ეპისკოპოსი ზორისა. მაგრამ ეს მწყემსთმთავრები დიდს ხნობით არ დაჩრქნილან ამ ეპარქიაში სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო. ამ უკანასკნელს დროს უმადლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ეს ეპარქია შეუერთდა იმერეთის ეპარქიას და აი ეს 18 წელიწადია, რაც ყოველად სამღვდლო ზაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა განაგებს ამ ეპარქიას და დაუღალავად აერთებს აფხაზეთში ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას. ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ყოველად სამღვდლო ზაბრიელის დაუღალავი მოქმედების წყალობით 19 ათას მოსლემან-აფხაზეთმა მიიღეს ქრისტიანობა და მოინათლენ. შოველად სამღვდლო ზაბრიელის დაუღალავი მეცადინეობით ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ამ ნახევრობით გაჰმამაღიანებულს ქვეყანაში აღშენდნენ ბევრი ეკლესიები ახლად და მასთან განახლებულ იქმნენ ბევრი ად-

გილას ძველი ეკლესიები. ველურნი აფხაზეთი, რომელთ შორის უწინ საშიშო იყო მოგზაურობაც, ისე მოარბილა ქრისტეს სწავლა-მოძღვრებამ, რომ ისინი დიდისს ხარულით და თანავგობობით ეგებებოდნენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრების მქადაგებელთ. მართი სიტყვით შოველად სამღვდლო ზაბრიელის ენერგიულმა მოღვაწეობამ იქამდის მიაღწია, რომ ეს უკანასკნელი რუს-ოსმალის ჩხუბი რომ არ მომხდარიყო, აფხაზეთის მკვიდრნი მთლად გაქრისტიანდებოდნენ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, დღეს ამას ვერ ვხედავთ. თითქმის ყველა გაქრისტიანებული აფხაზეთი, მის შემდეგ რაც რუსის ჯარმა მიატოვა აფხაზეთი, ძალათი წაყვანილ იქმნენ სათათრეთში ტყვედ. აფხაზეთთან ერთად ანუბედურს დროს ბევრი იმერლები და მეგრელებიც რომელნიც ამ დროს აფხაზეთში სცხოვრებდნენ, იქმნენ ტყვედ წაყვანილნი. იმ აფხაზეთაგან, რომელნიც ტყვედ წაყვანილ იქმნენ სათათრეთში, ზოგმა, რომელნიც ჯერ კიდევ კარგად არ იყენენ დამკვიდრებულნი ქრისტიანობაში, ისევ მაჰმადის აღსარება მიიღეს, ზოგმა, რომელნიც სრულიად მოკლებულ იყვნენ ქრისტიანულ სწავლა-დარჩევას, თითქმის მთლად დაჰკარგეს ყოველივე სარწმუნოება, ზოგმა მათგანმა კი დღემდის მტკიცედ დაიცო ქრისტიანობა.

ჩხუბის შემდეგ ჩვენდა სასიხარულოდ აღმოჩნდნენ ზოგიერთი შეძლებულნი პირნი, რომელთაც ხელახლად განიძრახეს აფხაზეთში ქრისტიანობის გაერთელება. ამ აღსარებულ ქვეყანაში ხელახლად იწყეს ახალი ტაძრების შენება და ძველების განახლება. ამ ტაძრებიდან ისევ მოისმა ქადაგებითი სიტყვა. მს შემოთ მოხსენებულნი პირნი არიან ახალი ათონის მონასტრის რუსის ბერები, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავისი ენერგიით და მოღვაწეობით. \*) ამ ბერებმა მშენებრად განაახლეს შესანიშნავი ძველი ღრანდის ტაძარი, რომელიც ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში იყო ღრანდის ეპისკოპოსების საკრებულო ტაძრად.

27 წარსულ ეკენისთვის მოხდა ამ ტაძრის კურთხევა, ხოლო ეხლა აკუროთხეს მონასტერი. მასაოცა-

\*) როცა აფხაზეთში პაწუნდის საკრებულო ტაძარი აკუროთხა საქართველოს ექსარქოსმა, არქიეპისკოპოსმა პავლემა, იმ დროს იქ დავესწარი. ტაძრის კუროთხევაზე მოსულ ერთ აფხაზს ვკითხვ: „რომელ სარწმუნოებას აღიარებენ დღეს აფხაზეთი?“ ამ კითხვაზე აფხაზეთი მომიგო: „წინეთ ჩვენ აღვიარებდით მაჰმადის სარწმუნოებას, შემდეგ მივიღეთ ქრისტიანობა; რუს-ოსმალის ჩხუბის შემდეგ ჩვენ სათათრეთში წაგვიყვანეს, იქიდან დავბრუნდით უკან და ეხლა არც ერთ აღსარებას არ ვეყოფებით.“

რი იყო, რომ ამ მონასტრის კუროთხევის დროს შეიკრიბნენ რუსების მზავლნი მლოცველნი. მონასტრის კუროთხევა შეასრულა ყოველად სამღვდელთა ბაბრბელმა დეკანოზი ღვით მაჭავარიანის და ადგილობრივი სხვა მღვდლებითურთ. ტაძრის კუროთხევის შემდეგ ყოველად სამღვდელთა წარმოსტევა სიტყვა.

28 ნოემბრისთვის, კვირას ყოველად სამღვდელთა ბაბრბელმა სწირა სოხუმის საკრებულო ტაძარში. წირვის გათავების შემდეგ წარმოსტევა მან შემდეგი გამოსამწვიდებელი სიტყვა:

ძმანო, მართლ-მადიდებელნი ძრისტიანენო, უკანასკნელი წირვის აღსრულება მაღირსა ღმერთმა დღეს თქვენ შორის ამ ახალ ტაძარში. უკანასკნელად შეესწირე ღმერთს უსისხლო მსხვერპლი უკეთალ-მსახურების ხელმწიფე იმპერატორისათვის, თქვენთვის და ყველა მართლ-მადიდებელ ძრისტიანეთათვის. თვრამეტი წელიწადი მეტია, რაც ღვთის შემწეობით ვიმბრომე ამ ქვეყანაში. მივაქცევ რა თქვენდამი უკანასკნელსა სიტყვასა, ვალად ვრაც უგულისთადესი მადლობა შეგწიროთ ყველა მათ, რომელნიც სიტყვით და საქმით, რჩევით და თავისი შრომით, თავისი თანაგრძობით და ნივთიერის დახმარებით ხელს უწყობდნენ ძრისტიანობის საქმეს ამ ქვეყანაში. და პირველად: ვმადლობ და ვლოცავ იმ მწყემსთ, რომელნიც დღესაც ცოცხალნი არიან და ეხლაც მოღვაწეობენ ძრისტეს ყანაში და ყველაზე უფრო ამ მწყემსთა წინამძღუარს, შენ დეკანოზო მ. ღვით! რომელიც თავიდანვე მოუშორებლად და დაუღალავად მოღვაწეობდი ამა ქვეყანაში სასარგებლოდ მართლ-მადიდებელი ეკლესიისა. უმადლესმა მთავრობამ უწყის შენი მოღვაწეობა, რომელიც ღირსეულად არის მიხან დაფასებული, და ეს უნდა იყოს შენი მანუგეშებელი. პირმოუფერებლად ვიტყვი, რომ ყოველნი მწყემსნი, რომელთაც ძველად უმსახურნიათ და ან რომელნიც დღეს მსახურებენ ამა ქვეყანაში, მოღვაწეობდნენ შეძლებისა და გვარად და მათი ღვაწლი მით უმეტეს თანაგრძობის და პატივის ცემის ღირსია, რომ ისინი ამ ქვეყანაში მსახურების დროს ბევრს სიღარიბეს, მწუხარებას და ავად-მყოფობას ითმენდნენ და დღესაც ითმენდნენ. მეორეთ დიდის გრძობით ვიგონებ უკვე გარდაცვალებულთა, საერო წოდების პირთა, რომელთაც ბევრი დახმარება აღმოუჩინეს ამ ქვეყანაში მართლ-მადიდებლობის გავრცელებას. შევლაზე უფრო ვიგონებ და სიკვდილამდის არ დავივიწყებ ჩემს ღვთისადმი ვედრებაში განსვენებულს მონა-

სა ღვთისა, ამ ქვეყანაში უმფროსად ყოფილს, მასილი ალექსანდრეს ძეს ბეიმანს, რომელიც დიდ შემწეობას აძლევდა სამღვდელთა, რომ მათ ამ ქვეყანაში გავრცელებით ძრისტეს სწავლა. ბეიმანი რამდენად შესანიშნავი იყო როგორც კარგი ადმინისტრატორი და მამაცი მხედარი, იმდენად შესანიშნავი იყო როგორც დიდი ღვთის მოყვარე და ძრისტიანი. მან კარგად იცოდა, რომ აფხაზის გულის მოგება უფრო შეიძლება ალერსით და ამით უფრო გავრცელება მათში ძრისტიანობაც. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება სიბრალულით არ მოვიგონო ბევრი მწყემსნი, რომელნიც აქაური ცუდი ჰაერის მსხვერპლად გახდნენ და რომელთაც, დაჰკარგეს რა მთელი სახლობა და შეილები, ადრე დაქვრივდნენ, და ან თავიანთი სიკვდილის შემდეგ დაუტოვებით ქვრივები და ობლები. ჩემს წმინდა მოვალეობად ვრაც ვმოწმო მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ამ მწყემსთა თვრამეტი წლის შრომას არ ჩაუვლია უსარგებლოდ; ღმერთმა მათი შრომა დააჯილდოვა მით, რომ 19 ათასი აფხაზი გაქრისტიანდნენ. ამ უკანასკნელი ჩხუბის დროს რომ მათრები არ შესეულიყვნენ აფხაზეთში და ძალად არ წაეყვანათ სათათრეთში ახლად მონათლულნი აფხაზები, საფიქრებელია, რომ აქამომდე ყველა აფხაზები მართლ-მადიდებელნი ძრისტიანენი იქმნებოდნენ. დასასრულს ვამოგვცემთ თქვენ, ძმანო, ჩემს უკანასკნელს მწყემსთმთავრულ დარჩევას. დღეს წაკითხული სახარებისაგან თქვენ გაიგონეთ, თუ რა მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება ძრისტესი ჰქონდა უბრალო ქანანელ ქალსა. მით მაცხოვარს გაუყვირდა მისი სარწმუნოება და სთქვა: ჰოი დედა-კაცო! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი! ძრისტესადმი ცხოველი და მტკიცე სარწმუნოება-აი ერთად ერთი საშუალება ჩვენი განწმედისა და ცხოვნებისა! თუ კაცს არა აქვს მტკიცე და მხურვალე სარწმუნოება, მას არ შეუძლია ძრისტიანე იყოს, კიდევ რომ მონათლული იყოს, დადიოდეს ეკლესიაში და ზიარობდეს. საუბედუროთ ახლანდელ ძრისტიანეთა არა აქვს ამისთანა სარწმუნოება! მოციქულის იოანე ღვთის-მეტყველის სიტყვისა მებრ ისინი არც მხურვალე არიან და არც ცივნი, არამედ ისე მოთბილონი არიან! ამ ქვეყანაში, სადაც დღეს კიდევ ბევრნი მკვიდრნი არიან მოუხათლანნი და რომელნიც მონათლულნი არიან, კიდევ მტკიცედ არ არიან დამკვიდრებულნი სარწმუნოებაში, განსაკუთრებით სამწუხაროა და საშიშოა, როცა ჩვენ, უწინდელთა ძრისტიანეთა, განსაკუთრებით რომელ-



ნიცა აქა ემსახურებთ და უმფროსობით, არა გვაქვს ცხოველი და მხურვალე სარწმუნოება. ამიტომ ამ ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენს წინაშე: განაცხოველეთ თქვენს გულში სარწმუნოება, უჩვენეთ აქაურებს კეთილი მაგალითი ძრისტიანული ცხოვრებისა, გადმოიბრეთ ისინი მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისადმი ერთი მხოლოდ კეთილი საქმეებით. ამით თქვენ ყველაზე უკეთესად აღასრულებთ თქვენს სამოქალაქოსაცა და ძრისტიანულს მოვალეობას — ამან.“

ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. თითქმის ეკლესიაში ყველა მღვდამთ თვალთაგან გადმოღვარეს ცრემლები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მსმენელთ ეს სიტყვა ესმოდათ იმისთანა კაცის პირიდან, რომელმაც ამდენი თავის შრომა და ძალა არ დაიმურწა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში, რომ ძრისტეს სწავლა მოეფრნა ამ გაუნათლებელ ქვეყანაში.

ს ა ს ნ ი ა მ ო ვ ნ ო . შ ა მ ტ ი .

ამ თთვის პირველ რიცხვებში, ერთს საღამოს ჩვენ გავიარეთ **სიბილისის** სასულიერო სემინარიის წინ. **სოტა ხანს** შევიჩრდით სემინარიის შენობასთან, რადგან ერთი სემინარიელის ნახვა გვინდოდა. სემინარიის წინ, იმა ადგილას, სადაც ამას წინეთ შეშებნიანი ურმები დგებოდა და სადაც თევზის სავაჭრო კარგები იყო დამართული და მთელი ის ქუჩა აყროლებული სუნით იყო მოკუთლი, დღეს მშვენიერი სასეირნო ბაღი არის, მშვენიერი ბაღის მცენარეებით გავსილი. ეს ბაღი რკინის რიკულებით არის შემოღობილი. ამ ბაღში დავინახე ერთი სასულიერო პირი, რომელსაც სემინარიის შეგირდები გარს შემოხვევოდნ და ტკბილათ ებასებოდნენ. ეს პირი და შეგირდები ხან შეჩერდებოდნ და ხან დასეირნობდნ. შეგირდების თავაზიანმა ქცევამ და ამ სასულიერო პირის მამა-შვილურმა მუსაიფმა ძალა უნებურად მიიპყრო ჩემი ყურადღება და მეც შევედი ამ ბაღში. მიუხალოვდი მათ და ენახე, რომ ეს სასულიერო პირი იყო ახალი რექტორი ჩვენი სასულიერო სემინარიისა, მამა არქიმანდრიტი პაისი, რომელსაც ესლავე იმ გვარი მამა-

შვილური განწყობილება დაუკავებია მოსწავლეებთან, რომ მთელი სემინარიის მოსწავლენი ალტაცებულნი არიან მისი მათზე მამობრივი ზრუნვითა.


მთელი საქართველოს სამღვდლოების ყურადღება მიქცეულია ამ ერთად ერთ სასულიერო სემინარიაზე. შევლას უხარია, როდესაც სემინარია კეთილმდგომარეობაშია და სწუხს, როდესაც მას რაიმე განსაცდელი მიადგება. რაღა იმაზე უკეთესი, როდესაც ამისთანა მამა შვილური განწყობილება სუფევს სასწავლებელში; როდესაც სასწავლებლის უფროსს შეგირდები უყურებენ როგორც მზრუნველ მამას. მხოლოდ ერთი ამისთანა განწყობილებით შეუძლია სასწავლებლის უმფროსს შეიტყოს მოსწავლის ხასიათი, ყოფა-ქცევა და მიმართულება. მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლია სასწავლებლის უფროსს გაასწოროს მოსწავლეთა ხასიათი, ყოფა-ქცევა და ცუდი მიმართულება. ნეტავი იმ სასწავლებელს, სადაც მოსწავლეთა და მეუფროსეთა შორის ამისთანა კეთილგანწყობილება დაფუძნებული. სულით და გულით ვინატრით კეთილ წარმატებას მ. ა. პაისისათვის მის საქმელო სარბიელზე.

სოფლის მკვლელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

შვირილის საეკლესიო საწყობში ამ თვეში მიღებულ იქნა სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები, მაგალითად: შვიდ სანთლიანი შანდლები ტრაპეზის უკან დასადგმელი და სხვა ხატების წინ დასადგმელი შანდლები, გვირგვინები, ტრაპეზის ჯვრები, საცეცხლოურები, თორმეტი საუფლო დღესასწაულის ხატები, კანდელები, სამღვდლო და საღიაკნო შესამოსლები და ახალი ვერცხლისგან გაკეთებული ბარძიმ-ფეხუშემები მოაქერილნი თავის მოწყობილობებით. ამ ნივთების შეძენა შეუძლიათ მსურველთ ბევრად უფრო იაფათ, ვინემ ქალაქების მაღაზიებში.

ეს ნივთები ნახა ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოზმა შაბრიელმა და ძალიან გაუკვირდა მათი სიაფე.



ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ იმერეთის სამღვდლოების რიგის შეკრებილება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეებისათვის დეკემბრის 18 და 19 რიცხვებისათვის არის დანიშნული

\* \* \*

ამ ცოტა ხანში სოფ. ილემში (შორაპნის მარაშია) ორმა კაცმა და ერთმა ქალმა დაიხრჩო თავი. მის იმათგანს, როგორც ამბობენ, თავი დაუხრჩიათ შეილებს სიკვდილის მწუხარებისა გამო. საკვირველია, რომ თავის მკვლელობა ძლიერ განშირდა სოფლებში.

\* \* \*

მაზეთს „ივერია“-ში ვკითხულობთ: „ამას წინდ ჩვენ დავესწარით წირვაზე წმ. მარინის ეკლესიაში, ავლაბარში, სადაც სამრევლო სკოლაა გამართული. მწირველი ბრძანდებოდა ყოველად სამღვდლო აღექსანდრე ეპისკოპოსი კრებულთითურთ. თუმცა ქართულად გალობდნენ ზოგიერთი მღვდლები და დიაკვნები, მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო წმ. მარინეს ეკლესიის სამრევლო სკოლის ყმაწვილების გალობამ მიიტკია. ყმაწვილები გალობდნენ მასწავლებელ თ. ასათიანის ლოტბარობით. ბ-ნი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა ბენავეის საგალობლით. არ იქნება ურიგო, რომ ყველა სოფლის მასწავლებლებმა, რომელმაც კი იცის ნოტები, იქონიოს ბენავეის საგალობელი, ასწავლოს ყმაწვილებს გალობა და ამ გვარად კვირაობით აგალობოს ხოლმე ყმაწვილები ეკლესიაში.

\* \* \*

დღეშეთში ამა თთვის 11 გაუქურდავს იქაური ეკლესია. ეს ეკლესია დიდის ვაი-ვაგლახით აუშენებიათ და წარსულს წელში უყურთხებია საქართველოს ექსარხოსს, არქივისკოპოსს პავლეს. ამ თთვის 11, ღამით შესულან ამ ეკლესიაში ქურდები და მთლად წაუღიათ ეკლესიიდან, თუ რამე ძვირფასი მოიპოვებოდა მასში. ამ ეკლესიის ძვირფასს ნივთთა შორის შესანიშნავი ყოფილა ღვთის მშობლის ხატი, მორთული სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვებით. ეს ხატი ამ საუკუნის დასაწყისს მოუტანია მოსკოვიდამ ეპისკოპოსს, რომელიც მხანის აზნაურთ შიცხელაურების გვარიდან ყოფილა.

მხლა გავით „ივერია“-იდან ვტყუობილობთ, რომ ეს ეკლესია გაუქურდავს ამავე ეკლესიის და-

მის ყარაულს, რომელიც, აღმოჩენილა ქურდობა თუ არა, სადაც დაკარგულა. შარაულის ძებნას მხედ შესდგომია იქაური პოლიცია.

\* \* \*

ჩვენ ვკითხულობთ „ივერია“-ში განცხადებას სამეურნეო გაზეთის „ცისკრის-ს გამოცემაზედ მომავლის წლის იანვრის პირველის რიცხვიდან. ამ განცხადებიდან ვტყუობილობთ ჩვენ, რომ გაზეთი გამოვა კვირაში ორჯელ, წლიურათ ეღირება მანეთად და ცალკე თითო ნომერი თითო შაურად. როგორც ხანს ამ განცხადებიდან, ცალკე ნომრის ყიდვა უფრო სასარგებლოდ დაურჩება მკითხველს. ძარგი იყო ამასთან შეგვეტყო სივრცე გაზეთისა.

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

## ტელეგრაფები.

21 ოქტომბერი.

პეტერბურში. მარტებლობის უწყება: „რადგანაც ვაჩნასა და ზოგიერთ სსკა ადგილებში ბოლგარები უკადრისად მოქცეხენ რუსეთის ქვეშევრდომთა უფლებასა, ამიტომ ვაჩნის ნავთ-სადგურში ორა სამსედრა გემი იყო გაგზავნილი. თუმცა ჩვენი გემები ვაჩნაში დგანან, მაგრამ შემოსასვენებელი უკადრისობა მაინც არ ისპობა, ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასწავრა გენერალ კაულებას, სელ-მეორედ მოსთხოვოს ბოლგარების მთავრობას, რომ მინ სასტიკი დონის მიება ისმარას სსენებულ უკადრისობის მოსაშობად და თუ მთავრობა სამის დღის განმავლობაში ამავდ შესაფერს და რიგან ვასუსს არ მოგცემთ, მაშინ მთელი დიპლომატიის სააგენტო და კონსულები ბოლგარიადამ უნდა წამოხვიდეთ. ამის შესახებ ჩვენმა წარმომადგენელმა ბოლგარების მთავრობას ნოტა წარუდგინა, რომელსედაც ბოლგარის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნაჩეკინმა ასეთი ვასუსი მიუგო: ბოლგარების შინაგან საქმეთა სამინისტროს ნამანება აქვს თავის ხელ-ქვეით მოსელეთათვის სასტიკი დონის მიება ისმარან, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა, ან ამ ვართა, რომელნიც რუსეთის მთავრობის ქვეშ იმ-





ყოფიან, ახიფი შუწსება და უკადრისობა არ მიაყენონ და თუ ამას არ ასრულებენ, თვითონვე სასჯელს მიეცებიან. გარდა ამისა, იმავე პასუხად მიცემულ ნოტაში ნახევიანი სთხოვს გენერალ გაულობას: შეგვატყობინეთ სახელი და აგრეთვე სად ცხოვრობენ, როგორც რუსეთის ქვეშევრდომნი აგრეთვე ის პირნი, რომელნიც რუსეთის მთავრობის ქვეშ იმყოფებიან, და რომელთაც ბოლგარებმა უკადრისობა მიაყენეს, რომ დამნაშავენი ვიპოვოთ და სასჯელი გადავადვიეროთ. სრულად მეტად მიგვაჩნია ნახევიანის სურვილი ავასრულეთ: შეუძლებელია, ბოლგარიის მთავრობამ კარგად არ იცოდეს უკადრისობა, რაც ბოლგარებმა რუსეთის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ ჩადინეს, რადგანაც თვით მთავრობის აგენტები იყვნენ უმთავრესნი დამნაშავენი და მონაწილენი ამ საქმეში. ამიტომ გენერალმა გაულობამ აჩნია გამოცხადების ნახევიანისთვის, რომ მე საჭიროდ არ ვჩანს პასუხი მოგცეთ იმავედ, რასაც თქვენ სთხოვდით, ხელთ, თუ ერთი ძალადობა ვიდექ მხდა სადმე ბოლგარიის მიწა-წყალზე, მე იმულებული ვიქნები ისე მოვიქცე, როგორც წინად გამოვაცხადე, ე. ი. მე და უკადრისობის აგენტები ბოლგარიას თავს დავანებებთ. გენერალ გაულობას მხსენებული პასუხი უმადლესად მოწონებულ იქმნა.

22 ოქტომბერი

**ტირნოვო.** გენერალმა გაულობამ გამოაცხადა, რომ რადგან სოფიის პრეფექტმა უკადრისობა მიაყენა ერთს რუსეთის ქვეშევრდომს, რომელიც ბოლგარიის სამსახურში ითვლებოდა, ამიტომ ვითხოვ, რომ პრეფექტმა ბოდიში მოიხადოს საჯაროდ შეუჩინოს უფლის წინაშე, ან არა და დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან. საქმეები ჯერ ისევე წინადადებს მდგომარეობაშია და ანა ვითარი ცვლილება არა სჩანს. რა: ბოლგარიის მთავრობა და კრება თავის განზრახვას სდგანან და უნდათ მთავრის ამოწმებას შეუდგენ. დღესსხდომა არა ქქნია კრებას.

25 ოქტომბერი

**შურაბო.** ტირნოვოდა გვაუწყებენ, რომ გუშინ დეპუტატების უფლებათა შემოწმება გაათავეს და სუთი წევრი ამოირჩიეს კამისიაში, რომელთაც უნდა შეადგინონ ადრესი საკრებულოს მთავრობის სატყვის პასუხად. მთავრობა უარზე, თანამდებობას თავს არ ანებებს და თავის პრეზუმბიას მტკიცედ ადგია. აღმოსავლეთ რუმელიაში დიდი აჩუქებაა. ბურჯასში შიშინების წესი დადგენილია. ბენდეროვი და გრუევი რუმეში მოვიდნენ.

326. გაზ. „Neue Freie Presse“-ს დეპუტატი აუწყებენ სოფიიდან: ოფიციალურად შეამოწმებენ, ამის გამო ოფიციალურად მხრის შიშინების წესი გამოცხადებული. ამასვე შესაფერის განკარგულებას მოხდენილი და თვით კარაგელოვისგან არას სელ-მოწერილი. რადგან საქმე გაჭირებულია, სტამბულოვი სტდილობს, რომ ეგვალ დასები ერთმანეთში მოაჩივოს, მაგრამ სტამბულოვს კარაგელოვი გაუწყობა, რადგანაც ცანკოვი ხელს უშლის.

•Politische Correspondenz-ს აუწყებენ ტირნოვოდა, რომ ბურჯასში მომხდარს აჩუქებას მთავრობის წრეებში დიდს ყურადღებას არ აქცევენ. მაინც პანიცა, რომელსაც მთავრობისგან დიდი უფლება აქვს მინიჭებული, ბურჯასში წავიდა წესიერების აღსადგენად.

რედაქციის პასუხი.

ლენინუმს. მღვ. ნ. თ—მეს. ნადირობის და ქეიფობის ამბების მოთხრობის მაგიერ—სხვა რამ სასარგებლო მოთხრობა რომ გამოგვგზავნათ, უმჯობესი იქნებოდა.

— მღვ. ი. თ—მეს. სამუშაოდ საპატრიო მიზნით გამოთქვენ წერილს ვერ ვებეჭდავთ.

თელავში. ბლ. მ. ლ. კ—ვს. აღმოჩნდა, რომ მღვ. ბოულუს სახელზედ გამოწერილი „მწიგნოს“ მისი სოველიოს შემდეგ მისივე ოჯახობა იღებდა და არა მისი მოადგილე მღვდელი. რედაქციას არ შეუძლია თვალ-ყური ადევნოს და შეიტყოს, თუ ვინ იღებს ჯეროვანი ადრესით გაგზავნილ ნომრებს.

თბილისში. ზ. ჭ—მეს. თუ არ შევიტყუო ნამდვილად, რამდენი რიცხვია ჩვენებურ მოსწავლეთა, ისე ვერ დავებეჭდავთ თქვენ წერილს. არ კმარა სიტყვა: «სამაო რიცხვია».

მღვ. გრიგოლ ცომაიას. მომავალ წლამდე „მწიგნოს“ ძველი ადრესით გვგზავნებთ და მერესთვის შეიძლება ცალკე გამოიწეროთ.

ლენინუმში. მ. თ—ს. რადგან კი იცით, რომ უღირსები იღებენ და ღირსეულები არა, აღარ უნდა სწუხდეთ. ეს ახალი საქმე არ არის. მდაბალს და ცუდს ჯილდოთი ვერ აღამალებენ. მაგალითები თვალ-წინ გვიდგანან. ღმერთიან იცოდეს შენი კეთილი საქმედა კაცმა, თუ გინდ, სულ არ დაინახოს.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ისუილებიან მღვ. დავით დამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:

**თ ბ ი ლ ი ს შ ი :** შრიქუროვის წიგნის მა-  
ლაზიაში. **მ უ თ ა ი ს შ ი :** ძმ. შილაძეების  
წიგნის მალაზიაში. **შ ვ ი რ ი ლ ა შ ი :** შვირი-  
ლის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლეს-  
სიო ნიეთების საწყობში და **დ . ხ ო ნ შ ი :**  
წერეთლის წიგნის მალაზიაში.

ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ :

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ე კ კ ლ ე ს ი ო ი ს გ ო რ ი ა

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

## ქ ა რ თ შ უ ლ ი ლ ო ს ვ ა ნ ი ,

ფასი უყდოთ 30 კ. და უდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრუ-  
ლების დროს საჭირო

## ს ა ხ ე ლ მ ძ ჯ ა ნ ე ლ ო წ ი გ ნ ი ,

ფასი უდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა  
წმინდობა, ფასი ოკრი აბაზი.

## ა ხ ა ლ ი კ ბ რ ა ზ ბ ლ ი ნ ი ,

ფასი უდით ერთი მან.

ევირილის საეკლესიო სანთლის საწყობში  
ისუილებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკ-  
კლესიო წიგნები და ნივთები.

# ს ტ ა მ ბ ა

მ. დ. დამბაშიძისა დ აზ. ე. ი. სელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით  
და ყველა მოწყობილობით ქ. მუთაისში  
15 მაისს, 1886 წ. ძნაყესკის და ნემცის  
ქუჩაზე, საქალბო გიმნაზიის პირ-და-პირ,  
მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს  
სხვა-და-სხვა ენებზედ. შასი ყველა საბეჭდავზე  
ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაპირებულ  
დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღვდელთობას ყოველ-გვარი საჭირო  
ბლანკების დაბეჭდვა და მოპოება შეუძლია  
ზომიერ ფასად. ძალაქს გარეშე მცხოვრებთა  
შეუძლიათ მიმართონ ამ აღრესით: *Въ Ку-*  
*таисъ, въ типографію Гамбашидзе и*  
*Хеладзе ანუ Въ Квирилу, въ редакцію*  
*„Мѹе м с и“ (Пастыр) и Въ Тиф-*  
*лисъ, въ типографію Е. И. Хеладзе.*  
*въ собст. домъ.*

შინაარსი: მთაგრობის განკარგულებანი.—არა-  
ოფიც. ნაწილი: სოფლის მღვდლის წერილი თავის მოძ-  
მეთადმი.—აფსანსეთის მკელი დანდის განახლებული ტაძ-  
რას კუჭთსეკა.—სასიამოვნო ფაქტი.—ახალიაბუბი და  
შენაშენებები.—ტელეგრაფები.—რედაქციის ვასუსი.—  
განცხადებანი.